

2024

შპს „შპს საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი“

ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

## სარჩევი

|                                 |   |
|---------------------------------|---|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა | 3 |
|---------------------------------|---|

## ფინანსური ანგარიშგება

|                                                      |   |
|------------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                   | 6 |
| მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება | 7 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება           | 8 |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება                         | 9 |

## ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

|                                                   |    |
|---------------------------------------------------|----|
| 1. კომპანია და მისი საქმიანობა                    | 10 |
| 2. მომზადების საფუძვლები                          | 10 |
| 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები       | 12 |
| 5. ძირითადი საშუალებები                           | 18 |
| 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                     | 19 |
| 7. ფული და ფულის ეკვივალენტები                    | 19 |
| 8. კაპიტალი                                       | 19 |
| 9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                  | 19 |
| 10. მიღებული სესხი                                | 19 |
| 11. შემოსავალი                                    | 20 |
| 12. გაწეული მომსახურების თვითღირებულება           | 20 |
| 13. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები    | 20 |
| 14. წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)           | 21 |
| 15. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)         | 21 |
| 16. მოგების გადასახადი                            | 21 |
| 17. პირობითი ვალდებულებები                        | 22 |
| 18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან | 22 |
| 19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები     | 23 |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საოჯახო მედიცინის რეგიონალური ცენტრის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

### მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონალური ცენტრის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 და 2024 წლების 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებისგან, ამავე თარიღებით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებისგან, ასევე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი საადრიცხო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის („მსს ფასს“) შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურადაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### სხვა ინფორმაცია - კომპანიის მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2023 და 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებს და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში საქართველოს კანონის მიხედვით. მმართველობითი ანგარიშგება ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობითი ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით.

## დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შეესაბამება 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

## სხვა გარემოება

კომპანიას წარდგენილი აქვს 2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშის [www.reportal.ge](http://www.reportal.ge)-ზე. აღნიშნული ფინანსური ანგარიში არ არის აუდირებული და შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშზე.

2023 წლის არააუდირებული ფინანსური ანგარიში კომპანიას [www.reportal.ge](http://www.reportal.ge)-ზე წარდგენილი აქვს. აღნიშნული ფინანსური ანგარიშის აუდიტი, როგორც ზევით მოსაზრებაშია ნახსენები, 2024 წლის ფინანსურ ანგარიშთან ერთად, აუდირებულია ჩვენ მიერ. აუდიტის მიმდინარეობის დროს, კომპანიის ხელმძღვანელობამ დააკორექტირა გარკვეული რიცხვები. ეს კორექტირებები აუდირებულია ჩვენ მიერ. აღნიშნული ცვლილება აღწერილია შენიშვნა 20-ში. აღნიშნული კორექტირებების გამო ჩვენი მოსაზრება არაა მოდიფიცირებული.

## ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ კომპანიას არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხო და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.

- ▶ ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- ▶ განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დამცვაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- ▶ განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

თბილისი, საქართველო

21 აგვისტო 2025



**შპს საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი**  
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 (ლარი)

|                                               | შენიშვნები | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023*<br>(გადაანგარიშებული)* | 31 დეკემბერი 2022<br>(არა აუდირებული) |
|-----------------------------------------------|------------|-------------------|-------------------------------------------|---------------------------------------|
| <b>აქტივები</b>                               |            |                   |                                           |                                       |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                  |            |                   |                                           |                                       |
| ძირითადი საშუალებები                          | 5          | 8,460,033         | 5,363,001                                 | 3,297,273                             |
| არამატერიალური აქტივები                       |            | 13,909            | 19,880                                    | 25,851                                |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>              |            | <b>8,473,942</b>  | <b>5,382,881</b>                          | <b>3,323,124</b>                      |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                  |            |                   |                                           |                                       |
| მარაგები                                      |            | 52,758            | 50,090                                    | 118,221                               |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                    | 6          | 5,058,257         | 4,387,700                                 | 1,909,488                             |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები         | 7          | 513,423           | 1,127,613                                 | 70,258                                |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>              |            | <b>5,624,438</b>  | <b>5,565,403</b>                          | <b>2,097,967</b>                      |
| <b>სულ აქტივები</b>                           |            | <b>14,098,380</b> | <b>10,948,284</b>                         | <b>5,421,091</b>                      |
| <b>ვალდებულებები</b>                          |            |                   |                                           |                                       |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>             |            |                   |                                           |                                       |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულება                   | 9          | 815,589           | 689,420                                   | 547,573                               |
| მიღებული სესხები                              | 10         | 1,759,849         | 1,986,321                                 | 322,336                               |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები               |            | 321,141           | 233,000                                   | 200,061                               |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>         |            | <b>2,896,579</b>  | <b>2,908,741</b>                          | <b>1,069,970</b>                      |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>             |            |                   |                                           |                                       |
| მიღებული სესხები                              | 10         | 5,523,317         | 3,780,151                                 | -                                     |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>         |            | <b>5,523,317</b>  | <b>3,780,151</b>                          | <b>-</b>                              |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                      |            | <b>8,419,896</b>  | <b>6,688,892</b>                          | <b>1,069,970</b>                      |
| <b>საწესდებო კაპიტალი</b>                     |            |                   |                                           |                                       |
| საწესდებო კაპიტალი                            | 8          | 95,579            | 95,579                                    | 95,579                                |
| გაუნაწილებელი მოგება                          | 8          | 5,582,905         | 4,163,813                                 | 4,255,542                             |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  |            | <b>5,678,484</b>  | <b>4,259,392</b>                          | <b>4,351,121</b>                      |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b> |            | <b>14,098,380</b> | <b>10,948,284</b>                         | <b>5,421,091</b>                      |

\*ზოგი მონაცემი არ შეესაბამება წინა წელთან წარდგენილ მონაცემებს. აღნიშნული განსხვავებები აღწერილია მე-20 შენიშვნაში.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 14 აგვისტო:

**დალი დავითაძე**  
**დირექტორი**

შენიშვნები 10-24 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**მკს საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი**  
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 (ლარი)

|                                               | შენიშვნები | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023*<br>(გადაანგარიშებული)* | 31 დეკემბერი 2022<br>(არა აუდიტირებული) |
|-----------------------------------------------|------------|-------------------|-------------------------------------------|-----------------------------------------|
| <b>აქტივები</b>                               |            |                   |                                           |                                         |
| გრძელვადიანი აქტივები                         |            |                   |                                           |                                         |
| ძირითადი საშუალებები                          | 5          | 8,460,033         | 5,363,001                                 | 3,297,273                               |
| არამატერიალური აქტივები                       |            | 13,909            | 19,880                                    | 25,851                                  |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>              |            | <b>8,473,942</b>  | <b>5,382,881</b>                          | <b>3,323,124</b>                        |
| მოკლევადიანი აქტივები                         |            |                   |                                           |                                         |
| მარაგები                                      |            | 52,758            | 50,090                                    | 118,221                                 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                    | 6          | 5,058,257         | 4,387,700                                 | 1,909,488                               |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები         | 7          | 513,423           | 1,127,613                                 | 70,258                                  |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>              |            | <b>5,624,438</b>  | <b>5,565,403</b>                          | <b>2,097,967</b>                        |
| <b>სულ აქტივები</b>                           |            | <b>14,098,380</b> | <b>10,948,284</b>                         | <b>5,421,091</b>                        |
| <b>ვალდებულებები</b>                          |            |                   |                                           |                                         |
| მოკლევადიანი ვალდებულებები                    |            |                   |                                           |                                         |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულება                   | 9          | 815,589           | 689,420                                   | 547,573                                 |
| მიღებული სესხები                              | 10         | 1,759,849         | 1,986,321                                 | 322,336                                 |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები               |            | 321,141           | 233,000                                   | 200,061                                 |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>         |            | <b>2,896,579</b>  | <b>2,908,741</b>                          | <b>1,069,970</b>                        |
| გრძელვადიანი ვალდებულებები                    |            |                   |                                           |                                         |
| მიღებული სესხები                              | 10         | 5,523,317         | 3,780,151                                 | -                                       |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>         |            | <b>5,523,317</b>  | <b>3,780,151</b>                          | <b>-</b>                                |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                      |            | <b>8,419,896</b>  | <b>6,688,892</b>                          | <b>1,069,970</b>                        |
| საწესდებო კაპიტალი                            |            |                   |                                           |                                         |
| საწესდებო კაპიტალი                            | 8          | 95,579            | 95,579                                    | 95,579                                  |
| გაუნაწილებელი მოგება                          | 8          | 5,582,905         | 4,163,813                                 | 4,255,542                               |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  |            | <b>5,678,484</b>  | <b>4,259,392</b>                          | <b>4,351,121</b>                        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b> |            | <b>14,098,380</b> | <b>10,948,284</b>                         | <b>5,421,091</b>                        |

\* ზოგი მონაცემი არ შეესაბამება წინა წელთან წარდგენილ მონაცემებს აღნიშნული განსხვავებები აღწერილია მე-20 შენიშვნაში.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 14 აგვისტო:

დალი დავითაძე  
 დირექტორი

შენიშვნები 10-24 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**შპს საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი**  
**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**  
 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ლარი)

|                                                                         |    | 2024             | 2023<br>(გადაანგარიშებული)* |
|-------------------------------------------------------------------------|----|------------------|-----------------------------|
| შემოსავალი                                                              | 11 | 5,776,005        | 4,220,426                   |
| გაწეული მომსახურების თვითღირებულება                                     | 12 | (3,034,187)      | (2,330,425)                 |
| <b>საერთო მოგება</b>                                                    |    | <b>2,741,818</b> | <b>1,890,001</b>            |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                | 13 | (1,111,894)      | (1,139,496)                 |
| გაუფასურების რეზერვის ხარჯი                                             | 6  | (12,878)         | (20,722)                    |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                                |    | <b>1,617,046</b> | <b>729,783</b>              |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)                                   | 15 | 269,638          | (500,300)                   |
| უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების<br>საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი |    | (10,098)         | (7,219)                     |
| წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)                                     | 14 | (457,494)        | (312,993)                   |
| <b>მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე</b>                                      |    | <b>1,419,092</b> | <b>(91,729)</b>             |
| მოგების გადასახადი                                                      |    | -                | -                           |
| <b>წლის წმინდა მოგება/(ზარალი)</b>                                      |    | <b>1,419,092</b> | <b>(91,729)</b>             |
| <b>სულ წლის მთლიანი სრული<br/>შემოსავალი/(ზარალი)</b>                   |    | <b>1,419,092</b> | <b>(91,729)</b>             |

\* ზოგი მონაცემი არ შეესაბამება წინა წელთან წარდგენილ მონაცემებს. აღნიშნული განსხვავებები აღწერილია მე20 შენიშვნაში.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 14 აგვისტო:

\_\_\_\_\_  
**დალი დავითაძე**  
**დირექტორი**

შენიშვნები 10-24 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი  
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ლარი)

|                                                                         |    | 2024        | 2023<br>(გადაანგარიშებული)* |
|-------------------------------------------------------------------------|----|-------------|-----------------------------|
| შემოსავალი                                                              | 11 | 5,776,005   | 4,220,426                   |
| გაწეული მომსახურების თვითღირებულება                                     | 12 | (3,034,187) | (2,330,425)                 |
| საერთო მოგება                                                           |    | 2,741,818   | 1,890,001                   |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                | 13 | (1,111,894) | (1,139,496)                 |
| გაუფასურების რეზერვის ხარჯი                                             | 6  | (12,878)    | (20,722)                    |
| საოპერაციო მოგება                                                       |    | 1,617,046   | 729,783                     |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)                                   | 15 | 269,638     | (500,300)                   |
| უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების<br>საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი |    | (10,098)    | (7,219)                     |
| წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)                                     | 14 | (457,494)   | (312,993)                   |
| მოგება/(ზარალი) დაბეგრამდე                                              |    | 1,419,092   | (91,729)                    |
| მოგების გადასახადი                                                      |    | -           | -                           |
| წლის წმინდა მოგება/(ზარალი)                                             |    | 1,419,092   | (91,729)                    |
| სულ წლის მთლიანი სრული<br>შემოსავალი/(ზარალი)                           |    | 1,419,092   | (91,729)                    |

\*ზოგი მონაცემი არ შეესაბამება წინა წელთან წარდგენილ მონაცემებს აღნიშნული განსხვავებები აღწერილია მე-20 შენიშვნაში.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 14 აგვისტო:

დალი დავითაძე  
 დირექტორი

შენიშვნები 10-24 გვერდებზე წარმოდგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**შპს საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი**

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ლარი)

|                                                   | შენიშვნა | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება/ზარალი | სულ კაპიტალი     |
|---------------------------------------------------|----------|--------------------|--------------------------------|------------------|
| <b>31 დეკემბერი 2022</b>                          | <b>8</b> | <b>95,579</b>      | <b>4,255,542</b>               | <b>4,351,121</b> |
| წლის სრული (მოგება)/ზარალი<br>(გადაანგარიშებული)* |          | -                  | (91,729)                       | (91,729)         |
| <b>31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)*</b>      |          | <b>95,579</b>      | <b>4,163,813</b>               | <b>4,259,392</b> |
| წლის სრული მოგება/(ზარალი)                        |          | -                  | 1,419,092                      | 1,419,092        |
| <b>31 დეკემბერი 2024</b>                          | <b>8</b> | <b>95,579</b>      | <b>5,582,905</b>               | <b>5,678,484</b> |

\*ზოგი მონაცემი არ შეესაბამება წინა წელთან წარდგენილ მონაცემებს. აღნიშნული განსხვავებები აღწერილია მე20 შენიშვნაში.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 14 აგვისტო:

---

**დალი დავითაძე****დირექტორი**

შენიშვნები 10-24 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**შპს საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი**

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

|                                                   | შენიშვნა | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება/ზარალი | სულ კაპიტალი |
|---------------------------------------------------|----------|--------------------|--------------------------------|--------------|
| 31 დეკემბერი 2022                                 | 8        | 95,579             | 4,255,542                      | 4,351,121    |
| წლის სრული (მოგება)/ზარალი<br>(გადაანგარიშებული)* |          | -                  | (91,729)                       | (91,729)     |
| 31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)*             |          | 95,579             | 4,163,813                      | 4,259,392    |
| წლის სრული მოგება/(ზარალი)                        |          | -                  | 1,419,092                      | 1,419,092    |
| 31 დეკემბერი 2024                                 | 8        | 95,579             | 5,582,905                      | 5,678,484    |

\*ზოგი მონაცემი არ შეესაბამება წინა წელთან წარდგენილ მონაცემებს აღნიშნული განსხვავებები აღწერილია მე-20 შენიშვნაში.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 14 აგვისტო:

დალი დავითაძე  
დირექტორი

შენიშვნები 10-24 გვერდებზე წარმოდგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**შპს საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი**  
**ფულადი ნაკადების ანგარიშგება**  
**2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**  
**(ლარი)**

|                                                                      | შენიშვნები | 2024               | 2023               |
|----------------------------------------------------------------------|------------|--------------------|--------------------|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან                             |            |                    |                    |
| წლის მოგება დაბეგვრამდე:                                             |            | 1,419,092          | (91,729)           |
| <b>კორექტირებები:</b>                                                |            |                    |                    |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                 | 5          | 759,015            | 288,084            |
| სავალუტო გადაფასებიდან მიღებული მოგება/ზარალი                        |            | 4,029              | (30)               |
| ძირითადი საშუალებების ჩამოწერა                                       | 5          | -                  | 886,131            |
| მოთხოვნების გაუფასირება                                              | 6          | 12,877             | 20,722             |
| საპროცენტო ხარჯი                                                     | 10         | 736,170            | 453,153            |
| <b>ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში</b>                                 |            | <b>2,931,183</b>   | <b>1,556,331</b>   |
| მარაგების (ზრდა) /შემცირება                                          |            | (2,670)            | 68,132             |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ზრდა                                      |            | (1,770,835)        | (962,317)          |
| გადახდილი ავანსები (ზრდა)/შემცირება                                  |            | -                  | (1,536,617)        |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შემცირება)/ზრდა                       |            | 126,170            | 141,847            |
| მიღებული ავანსები ზრდა/ შემცირება                                    |            | 1,087,402          | -                  |
| საგადასახადო ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა                         |            | 88,141             | 32,939             |
| <b>სულ ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში</b>                             |            | <b>2,459,391</b>   | <b>(699,685)</b>   |
| <b>საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები</b>    |            |                    |                    |
| ძირითადი საშუალების შესყიდვა                                         | 5          | (3,850,076)        | (3,233,972)        |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b> |            | <b>(3,850,076)</b> | <b>(3,233,972)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                       |            |                    |                    |
| შემოძინება მიღებული სესხებიდან                                       | 10         | 2,000,000          | 5,540,000          |
| მიღებული სესხების დაფარვა                                            | 10         | (438,017)          | (165,000)          |
| სესხებზე გადახდილი პროცენტები                                        | 10         | (781,459)          | (384,017)          |
| <b>საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>    |            | <b>780,524</b>     | <b>4,990,983</b>   |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით</b>            | <b>6</b>   | <b>1,127,613</b>   | <b>70,258</b>      |
| წმინდა ზრდა/შემცირება წლის განმავლობაში                              |            | (610,161)          | 1,057,325          |
| კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე           |            | (4,029)            | 30                 |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>         | <b>6</b>   | <b>513,423</b>     | <b>1,127,613</b>   |

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 14 აგვისტო:

**დალი დავითაძე**  
**დირექტორი**

შენიშვნები 10-24 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**შპს საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი**  
**ფულადი ნაკადების ანგარიშგება**  
**2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**  
**(ლარი)**

|                                                                      | შენიშვნები | 2024               | 2023               |
|----------------------------------------------------------------------|------------|--------------------|--------------------|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან                             |            | 1,419,092          | (91,729)           |
| წლის მოგება დაბეგვრამდე:                                             |            |                    |                    |
| კორექტირებები:                                                       |            |                    |                    |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                 | 5          | 759,015            | 288,084            |
| სავალუტო გადაფასებიდან მიღებული მოგება/ზარალი                        |            | 4,029              | (30)               |
| ძირითადი საშუალებების ჩამოწერა                                       | 5          | -                  | 886,131            |
| მოთხოვნების გაუფასირება                                              | 6          | 12,877             | 20,722             |
| საპროცენტო ხარჯი                                                     | 10         | 736,170            | 453,153            |
| <b>ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში</b>                                 |            | <b>2,931,183</b>   | <b>1,556,331</b>   |
| მარაგების (ზრდა) / შემცირება                                         |            | (2,670)            | 68,132             |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ზრდა                                      |            | (1,770,835)        | (962,317)          |
| გადახდილი ავანსები (ზრდა) / შემცირება                                |            | -                  | (1,536,617)        |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შემცირება) / ზრდა                     |            | 126,170            | 141,847            |
| მიღებული ავანსები ზრდა / შემცირება                                   |            | 1,087,402          | -                  |
| საგადასახადო ვალდებულებების (შემცირება) / ზრდა                       |            | 88,141             | 32,939             |
| <b>სულ ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში</b>                             |            | <b>2,459,391</b>   | <b>(699,685)</b>   |
| საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები           |            |                    |                    |
| ძირითადი საშუალების შესყიდვა                                         | 5          | (3,850,076)        | (3,233,972)        |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b> |            | <b>(3,850,076)</b> | <b>(3,233,972)</b> |
| ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან                              |            |                    |                    |
| შემოძინება მიღებული სესხებიდან                                       | 10         | 2,000,000          | 5,540,000          |
| მიღებული სესხების დაფარვა                                            | 10         | (438,017)          | (165,000)          |
| სესხებზე გადახდილი პროცენტები                                        | 10         | (781,459)          | (384,017)          |
| <b>საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>    |            | <b>780,524</b>     | <b>4,990,983</b>   |
| ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით                   | 6          | 1,127,613          | 70,258             |
| წმინდა ზრდა / შემცირება წლის განმავლობაში                            |            | (610,161)          | 1,057,325          |
| კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე           |            | (4,029)            | 30                 |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>         | <b>6</b>   | <b>513,423</b>     | <b>1,127,613</b>   |

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 14 აგვისტო:

\_\_\_\_\_  
**დალი დავითაძე**  
**დირექტორი**

შენიშვნები 10-24 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## 1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი („კომპანია“) დაარსდა 1999 წლის 28 ოქტომბერს და მდებარეობს საქართველოში.

2023 და წლის 31 დეკემბრის და მდგომარეობით უშუალო 100%-იანი წილის მფლობელი იყო ფიზიკური პირი ზურაბ ვაშაყმაძე, ხოლო 2024 წლის 30 დეკემბრიდან კომპანიის 100%-იანი მესაკუთრე გახდა მუხამედ ართმელაძე.

**ძირითადი საქმიანობა.** კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს ზოგადი სამედიცინო პრაქტიკის საქმიანობა.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია ბარათაშვილის ქ. №30 ბათუმი, საქართველო.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

## 2. მომზადების საფუძვლები

### (ა) შესაბამისობის განაცხადი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული. კომპანია, სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს მსს ფასს-ების შესაბამისად, ლარში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2023 და 2024 საანგარიშო წლისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

### (ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

#### **(გ) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა**

კომპანიის საოპერაციო ვალუტაა ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას.

#### **(დ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება**

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

ხელმძღვანელობამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება და კომპანიის მაჩვენებლების გათვალისწინებით დარწმუნებულია კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

#### 3.1 ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლარი“) რაც ასევე არის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა.

#### უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ისტორიული ღირებულებით არიან წარმოდგენილი, გადაყვანილია ლარში, კონვერტირების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არიან წარმოდგენილი, გადაყვანილია ლარში, სამართლიანი ღირებულების დადგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გადაყვანილია ლარში, ამ დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტის კონვერტირება აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული უპირატესი გაცვლითი კურსით. ამგვარი ტრანზაქციების ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და

ვალდებულებების კონვერტირების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი წარმოდგენილია წინამდებარე მოგება-ზარალის ანგარიშში- „საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი“.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

|            | საშუალო კურსი |        | საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი |                   |
|------------|---------------|--------|-----------------------------------------------|-------------------|
|            | 2024          | 2023   | 31 დეკემბერი 2024                             | 31 დეკემბერი 2023 |
| აშშ დოლარი | 2.7208        | 2.6279 | 2.8068                                        | 2.6894            |

#### 3.2 შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

#### 3.3 საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

### 3.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ ღირებულებაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად და ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

|                           | გამოყენების ვადა |
|---------------------------|------------------|
| შენობა-ნაგებობები         | 10-20            |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი   | 5-10             |
| სატრანსპორტო საშუალებები  | 5-10             |
| სხვა ძირითადი საშუალებები | 5-10             |

### 3.5 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასს შორის. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებებით.

### 3.6 გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

### 3.7 ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

### 3.8 ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო გაკანკეთის გამოყენებით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფულის და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

### 3.9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მიღებული თანხები. თუ თანხების მიღება ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია) არის მოსალოდნელი, ეს აქტივები მიმდინარე (მოკლევადიან) აქტივებად აისახება.

თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

### 3.10 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

### 3.11 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

### 3.12 ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

### 3.13 ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს.

### 3.14 სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტური სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შეძენის პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტურ სესხებს მიესადაგება.

### 3.15 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

### 3.16 ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულდება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

### 3.17 ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად

მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

### **3.18 საწესდებო კაპიტალი**

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი კომპანიის წესდებით განისაზღვრება. ავტორიზებული კაპიტალის საწესდებო კაპიტალად აღიარება ხდება კომპანიის საკუთარ კაპიტალში კომპანიის მფლობელის მიერ განხორციელებული შენატანების ოდენობით.

### **3.19 შემოსავლის აღიარება.**

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

### **3.20 საქონლის რეალიზაცია**

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება საქონლის მიწოდებისა და უფლებების გადაცემის შემდეგ, თუ კმაყოფილება შემდეგი პირობები:

- 1.1. კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი.
- 1.2. კომპანია აღარ ინარჩუნებს მენეჯერული ჩარევის საშუალებას ისეთი ხარისხით, რაც მფლობელობასთანაა დაკავშირებული და ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე.
- 1.3. შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ გაზომვა.
- 1.4. მოსალოდნელია, კომპანიაში ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოღინება.
- 1.5. შესაძლებელია ტრანზაქციასან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების სარწმუნოდ გაზომვა.

**პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები.** ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს. კომპანიას არა აქვს რაიმე საპენსიო ან მსგავსი დახმარების გადახდის კანონით გათვალისწინებული თუ კონსტრუქციული ვალდებულება.

## **4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები**

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა

დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

#### **4.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები**

ძირითადი საშუალებები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაშია აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

შპს „შპს საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი“  
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ლარი)

## 5. ძირითადი საშუალებები

|                                    | მიწა             | დაუმთავრებელი<br>მშენებლობა | შენობები       | კომპიუტერული<br>და სხვა ტექნიკა | ავეჯი და<br>სხვა<br>ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სხვა<br>ამორტიზებადი<br>ძირითადი<br>საშუალებები | იჯარით<br>აღებული<br>ქონების<br>კეთილმოწყობა | მანქანა-<br>დანადგარები | სულ              |
|------------------------------------|------------------|-----------------------------|----------------|---------------------------------|-------------------------------|-----------------------------|-------------------------------------------------|----------------------------------------------|-------------------------|------------------|
| <b>ისტორიული ღირებულება</b>        |                  |                             |                |                                 |                               |                             |                                                 |                                              |                         |                  |
| <b>2022 წლის 31 დეკემბერს</b>      | <b>1,370,500</b> | <b>765,867</b>              | <b>886,131</b> | <b>87,098</b>                   | <b>296,361</b>                | <b>14,284</b>               | <b>7,945</b>                                    | <b>88,198</b>                                | <b>152,473</b>          | <b>3,668,857</b> |
| დამატება                           | -                | 560,124                     | -              | 3,961                           | 2,669,887                     | -                           | -                                               | -                                            | -                       | 3,233,972        |
| შემცირება                          | -                | -                           | (886,131)      | -                               | -                             | -                           | -                                               | -                                            | -                       | (886,131)        |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერს</b>      | <b>1,370,500</b> | <b>1,325,991</b>            | <b>-</b>       | <b>91,059</b>                   | <b>2,966,248</b>              | <b>14,284</b>               | <b>7,945</b>                                    | <b>88,198</b>                                | <b>152,473</b>          | <b>6,016,698</b> |
| დამატება                           | -                | 1,766,654                   | -              | 68,974                          | 6,130                         | -                           | -                                               | -                                            | 2,008,318               | 3,850,076        |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერს</b>      | <b>1,370,500</b> | <b>3,092,645</b>            | <b>-</b>       | <b>160,033</b>                  | <b>2,972,378</b>              | <b>14,284</b>               | <b>7,945</b>                                    | <b>88,198</b>                                | <b>2,160,791</b>        | <b>9,866,774</b> |
| <b>აკუმულირებული ცვეთა</b>         |                  |                             |                |                                 |                               |                             |                                                 |                                              |                         |                  |
| <b>2022 წლის 31 დეკემბერს</b>      | <b>-</b>         | <b>-</b>                    | <b>-</b>       | <b>54,229</b>                   | <b>221,579</b>                | <b>12,687</b>               | <b>3,480</b>                                    | <b>52,319</b>                                | <b>27,290</b>           | <b>371,584</b>   |
| პერიოდის ცვეთა                     | -                | -                           | -              | 12,630                          | 240,533                       | 1,597                       | 1,589                                           | 13,566                                       | 12,198                  | 282,113          |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერს</b>      | <b>-</b>         | <b>-</b>                    | <b>-</b>       | <b>66,859</b>                   | <b>462,112</b>                | <b>14,284</b>               | <b>5,069</b>                                    | <b>65,885</b>                                | <b>39,488</b>           | <b>653,697</b>   |
| პერიოდის ცვეთა                     | -                | -                           | -              | 18,640                          | 553,611                       | -                           | 1,593                                           | 13,266                                       | 165,934                 | 753,044          |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერს</b>      | <b>-</b>         | <b>-</b>                    | <b>-</b>       | <b>85,499</b>                   | <b>1,015,723</b>              | <b>14,284</b>               | <b>6,662</b>                                    | <b>79,151</b>                                | <b>205,422</b>          | <b>1,406,741</b> |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b> |                  |                             |                |                                 |                               |                             |                                                 |                                              |                         |                  |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერს</b>      | <b>1,370,500</b> | <b>1,325,991</b>            | <b>-</b>       | <b>24,200</b>                   | <b>2,504,136</b>              | <b>-</b>                    | <b>2,876</b>                                    | <b>22,313</b>                                | <b>112,985</b>          | <b>5,363,001</b> |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერს</b>      | <b>1,370,500</b> | <b>3,092,645</b>            | <b>-</b>       | <b>74,534</b>                   | <b>1,956,655</b>              | <b>-</b>                    | <b>1,283</b>                                    | <b>9,047</b>                                 | <b>1,955,369</b>        | <b>8,460,033</b> |

სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 36,073 და 33,955 ლარს.

## 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|----------------------------|-------------------|-------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები         | 4,642,640         | 2,871,805         |
| გაუფასურების რეზერვი       | (33,599)          | (20,722)          |
|                            | <b>4,609,041</b>  | <b>2,851,083</b>  |
| გაცემული ავანსები          | 449,216           | 1,536,617         |
|                            | <b>5,058,257</b>  | <b>4,387,700</b>  |

| გაუფასურების რეზერვის მოძრაობა | 2024            | 2023            |
|--------------------------------|-----------------|-----------------|
| 1 იანვარი                      | (20,722)        | -               |
| ზრდა                           | (12,877)        | (20,722)        |
| 31 დეკემბერი                   | <b>(33,599)</b> | <b>(20,722)</b> |

## 7. ფული და ფულის ეკვივალენტები

| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|---------------------------------------|-------------------|-------------------|
| ფული სალაროში                         | 1,184             | 5,690             |
| ფული გზაში                            | -                 | 200               |
| ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში          | 512,239           | 1,121,723         |
|                                       | <b>513,423</b>    | <b>1,127,613</b>  |

## 8. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისათვის შეადგენს 95,579 ლარს.  
2024 და 2023 წლის განმავლობაში კომპანიაში არ მომხდარა დივიდენდების გამოცხადება და გაცემა.

## 9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

| სავაჭრო და სხვა ვალდებულება                             | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|---------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 666,632           | 550,399           |
| გადასახდელი ხელფასები                                   | 142,573           | 134,068           |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები                         | 6,384             | 4,953             |
|                                                         | <b>815,589</b>    | <b>689,420</b>    |

## 10. მიღებული სესხი

|                                           | პროცენტი | ვალუტა | 2024 წლის 31<br>დეკემბერი | 2023 წლის 31<br>დეკემბერი |
|-------------------------------------------|----------|--------|---------------------------|---------------------------|
| გრძელვადიანი სესხები                      |          |        |                           |                           |
| სს ბაზის ბანკი                            | 11%      | ლარი   | 5,523,317                 | 3,780,151                 |
| <b>სულ გრძელვადიანი სესხები</b>           |          |        | <b>5,523,317</b>          | <b>3,780,151</b>          |
| გრძელვადიანი სესხების მოკლევადიანი ნაწილი |          |        |                           |                           |
| შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედიცინა  | 13%      | ლარი   | -                         | 135,000                   |
| სს ბაზის ბანკი                            | 13.90%   | ლარი   | 1,759,849                 | 1,851,321                 |
| <b>სულ მოკლევადიანი სესხები</b>           |          |        | <b>1,759,849</b>          | <b>1,986,321</b>          |

**შპს „შპს საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი“**  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ლარი)

სს ბაზის ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის მთლიანი ქონებით. კომპანიამ გრძელვადიანი სესხი აიღო მშენებლობისთვის.

კომპანია 2023 წელს მიიღო გრძელვადიანი სესხი სს ბაზის ბანკისგან. სესხის დაფარვის საბოლოო ვადა ხელშეკრულების მიხედვით არის 2027 წელი.

|                            | 2024             | 2023             |
|----------------------------|------------------|------------------|
| <b>საწყისი ნაშთი</b>       | <b>5,766,472</b> | <b>322,336</b>   |
| <b>ფულადი ნაკადები:</b>    |                  |                  |
| სესხის აღება               | 2,000,000        | 5,540,000        |
| გადახდილი პროცენტი         | (781,459)        | (384,017)        |
| გადახდილი ძირი             | (438,017)        | (165,000)        |
| <b>არაფულადი ნაკადები:</b> |                  |                  |
| პერიოდის საპროცენტო ხარჯი  | 736,170          | 453,153          |
| <b>საბოლოო ნაშთი</b>       | <b>7,283,166</b> | <b>5,766,472</b> |

## 11. შემოსავალი

|                                                           | 2024             | 2023             |
|-----------------------------------------------------------|------------------|------------------|
| შემოსავალი კონსულტაციებიდან და სხვადასხვა კვლევებიდან     | 3,147,342        | 3,119,151        |
| შემოსავალი კომპიუტერული და მაგნიტორეზონანსული კვლევებიდან | 1,574,516        | 313,500          |
| შემოსავალი ლაბორატორიული კვლევებიდან                      | 995,827          | 722,095          |
| სხვა შემოსავალი (ფარმაცევტული კომპანიებიდან)              | 58,320           | 65,680           |
|                                                           | <b>5,776,005</b> | <b>4,220,426</b> |

## 12. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

| <b>გაწეული მომსახურების თვითღირებულება</b> | <b>2024</b>      | <b>2023</b>      |
|--------------------------------------------|------------------|------------------|
| შრომის ანაზღაურება                         | 1,673,638        | 1,527,590        |
| ცვეთა და ამორტიზაცია                       | 712,702          | 243,372          |
| ამბულატორიული მომსახურება ლაბორატორია      | 492,993          | 451,105          |
| სამედიცინო მასალების დანახარჯები           | 119,913          | 108,358          |
| სამედიცინო აპარატურის მოსმსახურების ხარჯი  | 34,941           | -                |
|                                            | <b>3,034,187</b> | <b>2,330,425</b> |

## 13. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

|                    | 2024    | 2023    |
|--------------------|---------|---------|
| შრომის ანაზღაურება | 594,543 | 553,683 |
| საიჯარო ქირა       | 228,360 | 240,900 |
| მომსახურება        | 48,820  | 92,918  |

შპს „შპს საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი“  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ლარი)

|                                                         |                  |                  |
|---------------------------------------------------------|------------------|------------------|
| კომუნალური ხარჯი                                        | 48,573           | 75,947           |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                    | 46,313           | 43,922           |
| საბანკო მომსახურების ხარჯი                              | 21,250           | 29,486           |
| საპენსიო ფონდი                                          | 20,253           | 18,523           |
| საკანცელარიო ხარჯი                                      | 16,525           | 20,087           |
| არასამედიცინო/საოფისე დამხმარე მასალების<br>დანახარჯები | 3,952            | 3,169            |
| შენობის დაცვა                                           | 1,362            | 1,330            |
| საგადასახადო ხარჯები, გარდა მოგების<br>გადასახადისა     | 873              | 1,129            |
| სხვა ხარჯი                                              | 81,070           | 58,402           |
|                                                         | <b>1,111,894</b> | <b>1,139,496</b> |

#### 14. წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)

|                                                  | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|--------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ფინანსური ხარჯი                                  |                   |                   |
| მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი              | (736,170)         | (453,153)         |
| <b>ფინანსური ხარჯი სულ</b>                       | <b>(736,170)</b>  | <b>(453,153)</b>  |
| ფინანსური შემოსავალი                             |                   | -                 |
| ანაზარზე დარიცხული პროცენტი                      | 278,676           | 140,160           |
| <b>ფინანსური შემოსავალი სულ</b>                  | <b>278,676</b>    | <b>140,160</b>    |
| <b>წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო</b> | <b>(457,494)</b>  | <b>(312,993)</b>  |

#### 15. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

| არასაოპერაციო შემოსავალი                           | 2024             | 2023             |
|----------------------------------------------------|------------------|------------------|
| სამშენებლო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი       | 252,511          | 133,023          |
| აწარმოე საქართველო სესხის პროცენტის სუბსიდირება    | 256,003          | 240,294          |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი                      | 587              | 31,514           |
| <b>არასაოპერაციო შემოსავალი სულ</b>                | <b>509,101</b>   | <b>404,831</b>   |
| მოთხოვნის ჩამოწერა                                 | (39,463)         | -                |
| სანქციები საურავები                                | (200,000)        | (20,000)         |
| ძირითადი საშუალების ჩამოწერა                       | -                | (886,131)        |
| <b>არასაოპერაციო ხარჯი სულ</b>                     | <b>(239,463)</b> | <b>(906,131)</b> |
| <b>სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო</b> | <b>269,638</b>   | <b>(501,300)</b> |

შპს საოჯახო მედიცინის ცენტრი აშენებს ადმინისტრაციულ შენობას შპს სახლი ბარათაშვილთნ  
 ერთდ. მშენებლობის დანახარჯებს მთლიანად გასწევს საოჯახო მედიცინის ცენტრი, ხოლო სახლი  
 ბარათაშვილის მშენებლობის ნაწილის ასრულებს 15% იანი მოგები მარჯით დღგ-ს გარეშე.

#### 16. მოგების გადასახადი

კომპანიის მოგების გადასახადი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის  
 შეადგენს ნულ ლარის შესაბამისად. 2024 და 2023 წლებში გაცემული დივიდენდი განაწილებულია

2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან, რომლის მოგების გადასახადი დარიცხული და დაბეგრულია ამავე პერიოდში.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არა-რეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახადელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით.

საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით იმ ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად. ასეთი ოპერაციების დაბეგრის სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

## 17. პირობითი ვალდებულებები

**საგადასახადო კანონმდებლობა:** საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

## 18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია 33-ე განყოფილება დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები, წარმოადგენს :

- (ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად „ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

- (დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.  
(ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;  
(ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.  
(ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

#### ნაშთები:

|                               | ურთიერთობის სახე                            | 31 დეკემბერი, 2024 | 31 დეკემბერი, 2023 |
|-------------------------------|---------------------------------------------|--------------------|--------------------|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები    | შპს მაღალტექნოლოგიური<br>ჰოსპიტალი მედიცინა | 300,450            | -                  |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | შპს მაღალტექნოლოგიური<br>ჰოსპიტალი მედიცინა | (236,852)          | (368,707)          |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | მფლობელი                                    | (4,900)            | (1,960)            |
| მიღებული სესხი                | შპს მაღალტექნოლოგიური<br>ჰოსპიტალი მედიცინა | -                  | 135,000            |

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება

| უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება            | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|--------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ხელფასები და ბონუსები                                  | 211,474.00        | 203,670.00        |
| <b>უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება სულ</b> | <b>211,474.00</b> | <b>203,670.00</b> |

### 19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

### 20. წინა პერიოდის შესადარისი რიცხვების კორექტირებები

უკეთესად წარდგენის მიზნით, კომპანიამ განახორციელა გარკვეული შეცდომების გასწორება შესადარის ნაშთებზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შეჯამებულია შეცდომების გასწორების საერთო ეფექტი წინა პერიოდის ნაშთებზე. აღნიშნული ცვლილებები გამოწვეულია ძირითადად შემდეგი გარემოების გამო: ა) კომპანია 2024 წლის აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად გადაწყვიტა 2023 წლის აუდიტებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა.

შეცდომების გასწორებამ შემდეგი გავლენა მოახდინეს მოგება-ზარალისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე 2023 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის:

| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება<br>31 დეკემბერი, 2023 | წინა ანგარიშგების<br>მიხედვით | მაკორექტირებელი<br>შესწორება | კორექტირებული<br>თანხა |
|----------------------------------------------------------|-------------------------------|------------------------------|------------------------|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                               | 2,872,202                     | 1,515,498                    | 4,387,700              |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                    | 1,128,363                     | (750)                        | 1,127,613              |
| სხავ პირებზე გაცემული ავანსები                           | 1,528,395                     | (1,528,395)                  | -                      |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                            | (542,177)                     | (147,243)                    | (689,420)              |
| მოკლევადიანი მიღებული სესხები                            | (226,954)                     | (1,759,367)                  | (1,986,321)            |
| საგადასახდო ვალდებულება                                  | (247,002)                     | 14,002                       | (233,000)              |
| გრძელვადიანი მიღებული სესხები                            | (5,540,000)                   | 1,759,849                    | (3,780,151)            |

**შპს „შპს საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი“**  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ლარი)

|                                    |             |         |             |
|------------------------------------|-------------|---------|-------------|
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | (134,068)   | 134,068 | -           |
| სხვა ვალდებულება                   | (4,471)     | 4,471   | -           |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი         | (1,148)     | 1,148   | -           |
| გაუნაწილებელი მოგება/ხარალი        | (4,170,532) | 6,719   | (4,163,813) |

| მოგება-ზარალის ანგარიშგება               | წინა ანგარიშგების მიხედვით | მაკორექტირებელი შესწორება | კორექტირებული თანხა |
|------------------------------------------|----------------------------|---------------------------|---------------------|
| <b>31 დეკემბერი, 2023</b>                |                            |                           |                     |
| გაუფასურების რეზერვის აღდგენა/(ხარჯი)    | -                          | (20,722)                  | (20,722)            |
| შემოსავალი რეალიზაციიდან                 | 4,183,789                  | 36,637                    | 4,220,426           |
| შემოსავალი სამშენებლო საქმიანობიდან      | 1,300,732                  | (1,300,732)               | -                   |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება         | (1,131,071)                | (1,199,354)               | (2,330,425)         |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | (3,630,386)                | 2,490,890                 | (1,139,496)         |

| ფულადი სახსრების ანგარიშგება                        | წინა ანგარიშგების მიხედვით | მაკორექტირებელი შესწორება | კორექტირებული თანხა |
|-----------------------------------------------------|----------------------------|---------------------------|---------------------|
| <b>31 დეკემბერი, 2023</b>                           |                            |                           |                     |
| წლის მოგება დაბეგვრამდე:                            | (85,009)                   | 6,720                     | (91,729)            |
| საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ნაღდი ფული | (1,080,302)                | (1,850,881)               | (2,931,183)         |
| საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული      | (1,070,355)                | 1,850,879                 | 780,524             |

შპს „საოჯახო მედიცინის ცენტრი“  
მმართველობის ანგარიშგება  
2023 და 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## შპს საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი

2023 და 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება

---

### სარჩევი

- კომპანიის ბიზნესის განვითარება, საქმიანობის შედეგები და განვითარება
- თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება
- ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ
- ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
- კომპანიის რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

## 1. კომპანიის ბიზნესის განვითარება, საქმიანობის შედეგები და განვითარება

**საქმიანობის მიმოხილვა :** შპს საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრის ს/კ 245428416 ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო საქმიანობა. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება რეგისტრირებულია 29.10.1999 წელს ბათუმის რ-ნის სასამართლოს მიერ. კომპანიას აქვს უძრავი ქონება ბათუმში, ბარათაშვილის #30-ში, სადაც საკუთრებაში ამოდის მიწის თანასაკუთრება. აღნიშნულ მისამართზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემულია მშენებლობის ნებართვა. მშენებლობას ახორციელებს შპს საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი. ვინაიდან მიწის თანასაკუთრება ფიქსირდება, გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულება შპს საოჯახო მედიცინის რეგიონულ ცენტრსა და შპს სახლი ბარათაშვილის შორის, ეს უკანასკნელი წარმოადგენს მიწის თანამესაკუთრეს. მშენებლობის გამო კომპანიამ შეიცვალა მისამართი და იჯარით გადავიდა ქ. ბათუმში, ბარათაშვილის #33-ში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლინიკის 100%-იანი წილის მფლობელია მუხამედ ართმელაძე პ/ნ 61001070481, ხოლო დირექტორი დალი დავითაძე პ/ნ 61002001077

**ბიზნესს მოდელი** შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი“ საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მრავალპროფილური სამედიცინო საქმიანობა, (ამბულატორიულ მომსახურება), კლინიკაში ფუნქციონირებს შემდეგი მიმართულებები:

- ზოგადი ქირურგია;
- უროლოგია;
- მეან-გინეკოლოგია;
- ოტორინოლარინგოლოგია;
- ტრავმატოლოგია;
- კარდიოლოგია;
- ანგიოლოგია;
- თერაპია
- რევმატოლოგია
- დერმატოლოგია
- ოფთალმოლოგია
- ენდოკრინოლოგია
- ნევროლოგია
- პედიატრია
- რადიოლოგია ( ულტრაბგერითი, რენტგენოლოგიური, კომპიუტერული და მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფია);
- კლინიკური დიაგნოსტიკის, ბიოქიმიური, იმონოფერმენტული და
- პათომორფოლოგიური ლაბორატორია;
- იმუნიზაცია

გარდა აღნიშნული მიმართულებებისა კლინიკა მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა კლინიკურ კვლევებში, საქართველოსა და აჭარის ჯანდაცვის პროგრამებში. კლინიკაში მოქმედებს როგორც ინდივიდუალური, ასევე კორპორაციული და საყოველთაო დაზღვევა.

კომპანიის ღირებულებები კლინიკის ძირითადი მიზანია დროული და სწორი სამედიცინო მომსახურების გაწევა, რისთვისაც იყენებს მაღალკვალიფიციურ მუშა ხელს და თანამედროვე ტექნიკას. კლინიკა ფლობს ახალ სამედიცინო აპარატს, როგორც ექსკოპიურ კვლევებში, ასევე ლაბორატორიაში .მიზნის მისაღწევად კომპანია ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

**პასუხისმგებლობა** - მუდმივად ვგრძნობდეთ პასუხისმგებლობას როგორ პაციენტების, ასევე თანამშრომლებისა და საქმის მიმართ;

კეთილსინდისიერება - კეთილსინდისიერად ვემსახურეთ თითოეულ პაციენტს; x პროფესიონალიზმი - უწყვეტად ვიზრუნოთ ჩვენ პროფესიულ განვითარებაზე და პაციენტებს გავუწიოთ კვალიფიციური მომსახურება;

**გუნდური სულისკვეთება** - ერთიანი ძალებით, ერთმანეთის მხარდაჭერით შეგვეძლოს საერთო მიზნის მიღწევა.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ადამიანური რესურსი კომპანიის ერთ-ერთი მთავარი კაპიტალია. შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ფოკუსირებულია შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

შესაბამისი კადრის მოძიება და აყვანა კადრის შერჩევისას ყურადღება ექცევა როგორც კონკრეტული სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს, ასევე კლინიკის ღირებულებებს, რომლებსაც უნდა იზიარებდეს კლინიკის უკლებლივ ყველა თანამშრომელი. ეს ღირებულებებია:

- პასუხისმგებლობა
- კეთილსინდისიერება
- პროფესიონალიზმი
- გუნდური სულისკვეთება
- მოქნილობა

## 2. თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უწყვეტად ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე. კომპანიის მენეჯმენტი უწყვეტად ზრუნავს თანამშრომლებისათვის ჯანსაღი, სამართლიანი და სასიამოვნო სამუშაო გარემოს შექმნაზე, რაც თავის მხრივ მოქმედებს მათ მოტივაციის ამაღლებაზე.

სამოტივაციო სისტემა ასევე მოიცავს შემუშავებულ საბონუსო სისტემას;

„კლინიკაში“ დასაქმებულია საშუალოდ 150-ზე მეტი ადამიანი. სამედიცინო პერსონალი დაკომპლექსებულია ძირითადად ბათუმელი სამედიცინო მედიკოსებით.

## 3. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმა

ვინაიდან კლინიკის მიზანია სწორი სადიაგნოსტიკო მკურნალობა და დროული სამედიცინო მომსახურების გაწევა, ორიენტირებულია თანამედროვე ტექნოლოგიების შეძენაზე და გაფართოებაზე. დაიგეგმა ახალი ფილიალის გახსნა და აქტიურად სამედიცინო საქმიანობის განხორციელება ზემოთ ჩამოთვლილი სამედიცინო მომსახურებების მიხედვით.

კომპანიის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მიმოხილვა.

2024 წლის განმავლობაში კომპანია არ ყოფილა ჩართული რაიმე სახის კვლევებისა და განვითარების აქტივობაში.

#### 4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

შპს საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მრავალპროფილური სამედიცინო საქმიანობა, რომელიც მოიცავს ამბულატორიულ მომსახურებას.


2024 ლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰყავს შვილობილი კომპანიები

#### 5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

როგორც ფინანსური ანგარიშგების ფორმებშია ასახული, კომპანიის მომგებიანობა წინა წელთან შედარებით მატულობს, ეს არის ერთ-ერთი ფაქტი იმისა, რომ კლინიკა არ კარგავს ფუნქციონარობის პრინციპს და დაუბრკოლებლად აგრძელებს საქმიანობას. ამის დასტურს იძლევა ასევე ბალანსის მონაცემებიც, რაც შეგიძლიათ იხილოთ შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრის ანგარიშგებებში.

| ფინანსური კოეფიციენტები | 2024  | 2023  |
|-------------------------|-------|-------|
| მიმდინარე აქტივები      | 5,624 | 2,097 |
| მიმდინარე ვალდებულებები | 2,896 | 747   |
| საბრუნავი კაპიტალი (WC) | 2,727 | 1,350 |

კომპანიის მიერ მიღებული შემოსავლები ბოლო ორი წლის განმავლობაში:



## 6. კომპანიის რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულეების გათვალისწინებით არსებობს გარკვეული რისკები, რაც დაკავშირებულია, როგორც ფინანსურ ნაწილზე ასევე მენეჯმენტზე.

ფინანსური რისკის ნაწილს წარმოადგენს ლიკვიდურობა, რაც ასევე წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ დანაკარგს. ეს არის შემთხვევა, როცა ხელშეკრულების მეორე მხარე არ შეასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას და კლინიკას წარმოეშობა უიმედო მოთხოვნები, რაც თავის მხრივ კლინიკას ქმნის უუნაროს, რომ დაფაროს თავისი ვალდებულებები ფულადი სახსრებით. აღნიშნულ რისკებს წინასწარ უწევს მონიტორინგს შესაბამისი კადრები, რომლებიც ხელმძღვანელობის მხრიდან პერიოდულად ტრენინგდებიან.

რისკ ფაქტორებში განიხილება ასევე საკრედიტო რისკი. ამ რისკზე დამოკიდებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება. როგორც კლინიკის ბალანსიდან ვხედავთ საკრედიტო ვალდებულება მკვეთრად გაზრდილია, რაც აქტივების ზრდასთან არის დაკავშირებული.

საბაზრო რისკი კლინიკას უქმნის ფასების ცვალებადობის და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკს. ამ რისკების მართვის მიზანია მათზე დამოკიდებულების მართვა და მისაღები პარამეტრების ფარგლებში მაქსიმალური ამონაგების მიღება.

რისკ ფაქტორებში დიდად საყურადღებოა „ახალი რეგულაციების“ შემოღება, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს კლინიკის რეალიზაციას, თუ ამ რეგულაციების ცვლილებით უარი ითქმება მთლიანად ან ნაწილობრივ საყოველთაო დაზღვევის დაფინანსებაზე.

კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს უწევს წარმოქმნილ ყველა რისკს, მართავს და განავითარებს მას შესაბამისი მართვის პოლიტიკის მიხედვით. რისკების მინიმიზაციის მიზნით სისტემატურად აკონტროლებს თავისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და არსებულ მდგომარეობას. კომპანია დგამს მნიშვნელოვან ნაბიჯებს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციის, ლოჯისტიკური მართვის სისტემის სრულყოფის, მარკეტინგული აქტივობების ეფექტურობის გაზრდის და მოქნილი საფასო პოლიტიკის შემუშავების მიზნით.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება

შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი“-ს დირექტორის მიერ დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბრის.

შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი“-ს დირექტორი

დალი დავითაძე

14.08.2025 წელი